თამთა ბოკუჩავა
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პერსონალისტური მმართველობის სისტემა, ერდოღანიზმი

აბსტრაქტი

ხელისუფლებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა (AKP) და ერდოღანის მოსვლის შემდეგ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 2000-იანი წლების პირველი ათწლეულის განმავლობაში ლიბერალურმა რეფორმებმა, ეკონომიკურმა ზრდამ და გონივრულმა საგარეო პოლიტიკამ თურქეთს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ავტორიტარულ სახელმწიფოდ იდენტიფიცირებამდე, თურქეთი ძირითადად ლიბერალური ეკონომიკისა და თანამედროვე ღირებულებების მქონე მუსლიმურ ქვეყნად ითვლებოდა, სადაც ისლამური კულტურა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები ერთსა და იმავე საზღვრებში თანაარსებობდა. თუმცა, 2010-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა შეცვალა ერდოღანის პოლიტიკური კურსი, ასევე დასავლეთის მიდგომა თურქეთის მიმართ. მისი რიტორიკა სულ უფრო და უფრო პოლარიზებული და ავტორიტარული ხდებოდა. ერდოღანი პირველი პრეზიდენტია, რომელიც სახალხო კენჭისყრით აირჩიეს, რაც მას საზოგადოების თვალში ფართო პოლიტიკურ ძალაუფლებას ანიჭებს. ამავდროულად, სამართლიანობისა და განვითარების პარტია ერდოღანზე უკიდურესად ორიენტირებულ პარტიად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი უნივერსალური თეორია ზუსტად არ განსაზღვრავს თურქეთის ამჟამინდელი რეჟიმის ყველა პრინციპს. ამჟამინდელი რეჟიმი კულტზე ორიენტირებული რეჟიმია, სადაც ერდოღანი „თურქეთის ახალი მამაა“. ილმაზი და ბაშიროვი ამ ახალ რეჟიმს ერდოღანიზმს უწოდებენ. მას ოთხი ძირითადი განზომილება აქვს: ელექტორალური ავტორიტარიზმი, როგორც საარჩევნო სისტემა, ნეოპატრიმონიალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია და ისლამიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია. არჩევნები მხოლოდ ინსტრუმენტია მთავრობის ქმედებებისა და გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის, ბიუროკრატიული თანამდებობები გამოიყენება სიმდიდრისა და ძალაუფლების დასაგროვებლად, ერდოღანი ეროვნული ნების ხმად იქცა, ხოლო ისლამი თურქი ერის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტია.

საკვანძო სიტყვები: *თურქეთი, ერდოღანიზმი, სამართლიანობა და განვითარება, პერსონალისტური რეჟიმი, ავტორიტარიზმი*

შესავალი

ბოლო წლებში, თურქეთში პოლიტიკური რეჟიმის განსაზღვრისთვის ხშირად გამოიყენება ელექტორალური ავტორიტარიზმი. ეს განმარტება ზუსტად ასახავს ქვეყნის საარჩევნო სისტემას, თუმცა იგი უგულებელყოფს თურქეთის ეკონომიკურ სისტემას, პოლიტიკურ სტრატეგიას ან იდეოლოგიას. თურქეთში ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაჩენილი ახალი პოლიტიკური რეჟიმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერდოღანიზმი. ერდოღანიზმს ოთხი ძირითადი განზომილება აქვს: ელექტორალური ავტორიტარიზმი, როგორც საარჩევნო სისტემა, ნეოპატრიმონიალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია და ისლამიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია.[1] მისი წინამორბედის - ქემალიზმის მსგავსად, ეს არის კულტზე ორიენტირებული იდეოლოგია.

ავტორიტარულ სახელმწიფოდ იდენტიფიცირებამდე, თურქეთი ძირითადად ლიბერალური ეკონომიკისა და თანამედროვე ღირებულებების მქონე მუსლიმურ ქვეყნად ითვლებოდა. 2000-იანი წლების პირველი ათწლეულის განმავლობაში ლიბერალურმა რეფორმებმა, ეკონომიკურმა ზრდამ და გონივრულმა საგარეო პოლიტიკამ თურქეთს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ამ პერიოდში, თურქეთის მმართველმა პარტიამ AKP (Adalet ve Kalkınma Partisi - სამართლიანობისა და განვითარების პარტია) ძველი სისტემის ტრანსფორმაციით წარმატებით დაამყარა ახალ სისტემა და ამ პროცესში მან ისლამი გამოიყენა როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

ერდოღანი პირველი პრეზიდენტია, რომელიც სახალხო არჩევნებით აირჩიეს და არა პარლამენტის კენჭისყრით. როგორც „ერის კაცი“, ის სინამდვილეში ერის განსახიერებაა, მხოლოდ ის წარმოადგენს ერის ნებას.[2] მისი მხარდამჭერებისთვის ერდოღანი და თურქეთი განუყოფელი ცნებებია. ერდოღანი გმირია, რომელიც საზოგადოებას „ახალ თურქეთს“ დაპირდა, ისეთივე დიდებულს, როგორც ოსმალეთის იმპერია. ერდოღანის პრეზიდენტობის ერთ-ერთი ფუნდამენტური თემაა ბრძოლა მოღალატეების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ ქვეყნის ნათელი მომავლის განადგურება. ეს შეიძლება იყოს სამხედროები, ან მედია, რომლებიც ცდილობენ „სამხედრო მეურვეობის“ შენარჩუნებას, ლიბერალები, მემარცხენეები და ა.შ. ერდოღანი მტრად მიიჩნევს AKP-ს წევრებსაც კი, რომლებიც აკრიტიკებენ მის გადაწყვეტილებებს ან ქმედებებს.

თეორიული ჩარჩო

აღნიშნული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ერდოღანიზმის თეორიულ ჩარჩოზე, მის განმარტებასა და დახასიათებაზე. ერდოღანიზმი არის ახალი პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც თურქეთში 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაჩნდა. იგი ხასიათდება ოთხი ძირითადი განზომილებით:

---

[1] Ihsan Yilmaz and Galib Bashirov, “The AKP after 15 years: emergence of Erdoganism in Turkey,” Third World Quarterly Vol 39, No9 (2018): 1812

[2] Mustafa Akyul, “Erdoganism [noun] from “national will” to “man of the nation,” an abridged dictionary for the post-secular Turkish state,” Foreign Policy, June 21 (2016) https://foreignpolicy.com/2016/06/21/erdoganism-noun-erdogan-turkey-islam-akp/ Accessed September 5, 2024

ელექტორალური ავტორიტარიზმი, ნეოპატრიმონიალიზმი, პოპულიზმი და ისლამიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატიული ისლამური მთავრობების პირობებშიც კი, თურქეთში არჩევნები 2015 წლამდე თავისუფალი და სამართლიანი იყო. 2015 წლის ვადამდელმა არჩევნებმა და განსაკუთრებით 2017 წლის საკონსტიტუციო რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ელექტორალური ავტორიტარიზმი თურქეთის საარჩევნო სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა. სამართლიანობისა და განვითარების პარტია მნიშვნელოვნად ეყრდნობა ქვეყანაში წარმოქმნილ ახალ საშუალო კლასს, ანატოლიურ ბიზნესებს, რომლებიც განვითარდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მხარდაჭერითა და სუბსიდიებით, შესაბამისად ისინი პარტიისა და ერდოღანის ერთგულები არიან. ერდოღანი თავს წარმოაჩენს, როგორც ეროვნული ნების წარმომადგენელ ლიდერს და აქტიურად იყენებს ისლამსა და თურქულ ნაციონალიზმს თავისი ხედვის განსამტკიცებლად. ერდოღანიზმი ახალი პერსონალისტური რეჟიმია, როგორიც იყო ქემალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისში. აღნიშნული ნაშრომის მიზანია განმარტოს ერდოღანიზმი, ამ რეჟიმის კონკრეტული განზომილებები და გაანალიზოს მიმდინარე მოვლენები ამ განზომილებების პრიზმიდან.

ერდოღანიზმის, როგორც თურქეთში არსებული რეჟიმის განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პერსონალისტური რეჟიმი, რომელიც კორელაციაშია სხვა პერსონალისტურ რეჟიმებთან, როგორიცაა სულთანიზმი, ხომეინიზმი და ქემალიზმი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეჟიმი არის რეჟიმები, სადაც ლიდერი განასახიერებს ერისა და სახელმწიფოს ბედს.[1] ყველა შემთხვევაში, არჩევნები მხოლოდ ხელისუფალის ლეგიტიმაციის ინსტრუმენტია. სახელმწიფო რესურსები გამოიყენება რეჟიმისადმი ლოიალური ადამიანების დაჯილდოებისთვის. გარდა ამისა, ხომეინიზმი და ქემალიზმი იყენებენ ნაციონალიზმს ისლამიზმთან ან სეკულარიზმთან ერთად, მათი ლეგიტიმურობისა და პოზიციის გასაძლიერებლად. თურქეთში ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები აჩვენებს, რომ არსებული რეჟიმი აკმაყოფილებს პერსონალისტური რეჟიმისათვის დამახასითებელ ყველა კრიტერიუმს; რეჟიმი, რომელიც სასტიკია ყველა სახის ოპოზიციის მიმართ, ამავე დროს უხვად აჯილდოვებს ეკონომიკური შეღავათებით თავის მხარდამჭერებს და მმართველი პარტიის ძირითად იდეოლოგიას ისლამური ნაციონალიზმი წარმოადგენს.

AKP-ს დამფუძნებლები ისლამისტური წარსულის მქონე პოლიტიკოსები იყვნენ. პოლიტიკური ისლამი თურქეთში 1970-იან წლებში ჰეგემონიური ქემალისტური იდეოლოგიის საპირისპიროდ წარმოიშვა. ნეჯმეთინ ერბაქანის მიერ 1969 წელს დაარსებული „ეროვნული ხედვის მოძრაობა“ (Milli Görüş Hareketi, MGH) ყველაზე გავლენიანი ისლამური ორგანიზაცია იყო, რომელიც უარყოფდა ქემალიზმს და მის სწრაფვას დასავლეთისაკენ და ცდილობდა პოლიტიკური მიზნებისთვის რელიგიური სიმბოლოების გამოყენებას. 1997 წლის პოსტმოდერნული გადატრიალების შემდეგ, თურქი ისლამისტების ახალმა, უფრო პროგრესულმა თაობამ დაიწყო ადამიანის უფლებებისა და სხვა დასავლური იდეალების მხარდაჭერა. ამ შედარებით ლიბერალურად მოაზროვნეებმა 2001 წელს, „სათნოების პარტიიდან“ გამოყოფის შემდეგ, დააარსეს სამართლიანობისა და განვითარების პარტია - AKP. შესაბამისად, თურქეთის დღევანდელი მმართველი

[1] Yilmaz and Bashirov, “The AKP after 15 years,” 1815

პარტია MGH-ის და მისი ღირებულებების მემკვიდრეა, თუმცა თანამედროვე პოლიტიკური მსოფლმხედველობით. 2002 წლის არჩევნებისა და ერდოღანის გამოსვლის შემდეგ, რომ დემოკრატია და ისლამური კულტურა რეალურად შეიძლება თანაარსებობდეს ერთ საზღვრებში, თურქეთის ახალმა მთავრობამ მოიპოვა დასავლეთის მხარდაჭერა. არსებობდა ე.წ. „თურქული მოდელის“ ხედვა, მუსლიმური ქვეყანა ეკონომიკური რეფორმებით, დემოკრატიული მმართველობით, უმცირესობებისა და ადამიანის უფლებებით. მნიშვნელოვანია განისაზღვროს გარდამტეხი მომენტი, როდესაც ავტორიტარიზმი თურქეთის პოლიტიკის გამორჩეული მახასიათებელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული თარიღის დადგენა რთულია, 2013 წლის მაისში გეზის პარკში გამართული საპროტესტო აქციები და მთავრობის დაუნდობელი რეაგირება ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.[1]

ელექტორალური ავტორიტარიზმი ერდოღანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთ რეჟიმებს სამი საერთო მახასიათებელი აქვთ: ოპოზიციისთვის არათანაბარი სათამაშო პირობები, არც სამართლიანი და არც თავისუფალი არჩევნები და ფუნდამენტური თავისუფლებების უხეში ხელყოფა.[2] ამ სისტემებში არჩევნები ლეგიტიმაციის წყაროდ არის გამოყენებული. ოპოზიცია არსებობს, მაგრამ ის უძლური და დაჩაგრულია, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეგულარული არჩევნები ტარდება, მაგრამ ეს არჩევნები არ არის კონკურენტუნარიანი და ხშირად გაყალბებულია ხელისუფლების სასარგებლოდ. სხვა კონკრეტულ ოპოზიციურ პარტიებს შეიძლება ჩამოერთვათ საარჩევნო კამპანიის წარმოების ან არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არასდროს ყოფილა ლიბერალური დემოკრატია, 1950-იანი წლებიდან, როდესაც დემოკრატიული პარტია აირჩიეს, არჩევნები თანასწორი და თავისუფალი იყო და მთავრობის წარმომადგენლები მშვიდობიანად ტოვებდნენ თავიანთ ოფისებს არჩევნებში წაგების შემდეგ.[3] თუმცა, ეს შეიცვალა 2015 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც AKP-მ დაკარგა უმრავლესობა და უარი თქვა კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე, რამაც იმავე წელს ვადამდელი არჩევნები გამოიწვია. თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით PKK-ს საქმიანობის აღორძინებამ, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების წარუმატებლობასთან ერთად, საზოგადოებაში შფოთვისა და შიშის გარემო შექმნა. ამ არასტაბილურობამ AKP-ს 2015 წლის ნოემბრის ვადამდელ არჩევნებში ძალაუფლების დაბრუნების საშუალება მისცა. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფერენდუმის შემდეგ გაირკვა, რომ თურქეთში არჩევნები არც თავისუფალია და არც სამართლიანი. 2016 წელს გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ერდოღანმა აქტიურად დაიწყო ძალაუფლების კონსოლიდაცია. მასობრივი დაპატიმრებები არა მხოლოდ გიულენის მოძრაობის წევრებს, არამედ ყველას შეეხო, ვინც ერდოღანს და მის პოლიტიკურ რეჟიმს აკრიტიკებდა. თითქმის ყველა სფეროში მომხდარმა ამ მასშტაბური წმენდა, სახელმწიფო ბიუროკრატიის

[1] Kemal Kirişci and Amanda Sloat, “The rise and fall of liberal democracy in Turkey: Implications for the West,” Foreign Policy at Brooking, Policy Brief, February (2019) 2

[2] Yilmaz and Bashirov, “The AKP after 15 years,” 1817

[3] Ibid

კონკრეტული დეპარტამენტებიდან მთელი პერსონალის მოცილება, მმართველ პარტიას 2017 წლის საკონსტიტუციო რეფერენდუმის მანიპულირებაში დაეხმარა.[1]

აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ინტერაქციონისტული მიდგომა ამტკიცებს, რომ როგორც აქტორი, ასევე ინსტიტუტები/გარემოები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ, ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. აღმასრულებელ ლიდერს, პირადი ძალაუფლების რესურსებისა და შესაბამისი კონტექსტების წყალობით, შეიძლება უფრო დიდი უფლებამოსილებები ჰქონდეს, ვიდრე ეს განსაზღვრული მის მიერ დაკავებული ფორმალური თანამდებობით. 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერდოღანმა და მისმა მოკავშირეებმა პრეზიდენტის თანამდებობის ტრანსფორმაცია ახალი პრეზიდენტის ამბიციებისთვის შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყეს. ზოგადად, კონკრეტულ პირობებში ინსტიტუტები შეიძლება გაფართოებული იყოს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეებისკენ. ინსტიტუციური გაფართოება მიუთითებს, რომ მოქმედი პირის გავლენა და ავტორიტეტი სისტემურ ჩარჩოებს სცილდება. ამ ფორმულირებაში „სისტემური“ არსებულ ფორმალურ სტრუქტურებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს გულისხმობს. ამრიგად, ტერმინი „ინსტიტუციური გაფართოება“ ყურადღებას ამახვილებს როგორც მოქმედი პირის მიერ პოლიტიკურ სისტემაში ჩანერგილ ახალ სტრუქტურებზე, პროცესებსა და პრაქტიკებზე, ასევე არსებული პრაქტიკის ახალი გზებით განხორციელებაზე.[2] 2015 წელს თავად ერდოღანმა განაცხადა, რომ წინამორბედებისგან განსხვავებით, ის იყო ფაქტობრივი ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი. ადმინისტრაციული სისტემა შეიცვალა და ერთადერთი გამოსავალი სამართლებრივი ჩარჩოს კორექტირება და კონსტიტუციის შესაბამისად შეცვლა იყო.

2014 წლიდან პრეზიდენტის ოფისი სტრუქტურულად გაფართოვდა ოფისის რესტრუქტურიზაციის გზით; ფინანსურად - ბიუჯეტის მნიშვნელოვანი გაზრდით; პოლიტიკურად - ერდოღანის მიერ კაბინეტის სხდომების თავმჯდომარეობით; სიმბოლურად - ახალ პრეზიდენტის სასახლეში გადასვლით; და საერთაშორისო ასპარეზზე - G-20 სამიტის პრეზიდენტის დონეზე მასპინძლობის გზით.[3]

მომუშავე პერსონალის რაოდენობა კარგი მაგალითია პრეზიდენტის მთავარ მმართველ ოფისად რეფორმირების საჩვენებლად. 2014 წლის შემდეგ პრეზიდენტის ოფისში მომუშავე პერსონალის რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა. აბდულა გიულის პრეზიდენტობის დროს ოფისში 718 ადამიანი მუშაობდა, 2014 წლის ბოლოს ეს რიცხვი 30%-ით გაიზარდა, ხოლო 2015 წლის მარტში გამოცხადებული რიცხვი 2700 იყო.[4] მკვეთრად გაიზარდა ძირითადი მრჩევლების რაოდენობაც, აბდულა გიულს 6 ძირითადი მრჩეველი ჰყავდა, ხოლო ერდოღანს ოფიციალურად 36.

ერდოღანისა და ავტორიტარული მთავრობის მიმართ ანტიპათიის მიუხედავად, არც ერთი პოლიტიკური პარტია, უცხო ქვეყნის ლიდერები და

---

[1] Ibid

[2] Hasan Faruk Uslu, “Leadership through institutional stretch: Recep Tayyip Erdogan’s presidency in Turkey,” Atatürk Üniversitesi İktisadi ve İdari Bilimler Dergisi Vol 32, No 4 (2018): 1244

[3] Uslu, “Leadership through institutional stretch,” 1257

[4] Erdem Gül, “T.C. Anonim Şirketi,” Cumhuriyet, Mart 16 (2015) http://www.cumhuriyet.com.tr/haber/turkiye/231423/T.C._Anonim_Sirketi.html Accessed, November 3, 2024

თურქეთის სამოქალაქო საზოგადოების უმრავლესობა არ დაუჭერდა მხარს გადატრიალებას. არღვევდა რა დემოკრატიულ პრინციპებს, თავად გადატრიალება კონტრპროდუქტიული იყო თავისი მისიისთვის - თურქეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ კურსზე დაბრუნება. მეორეს მხრივ, წარუმატებელი გადატრიალება ერდოღანისთვის „ღვთის საჩუქარი“ იყო. მან ძალაუფლების კიდევ უფრო მონოპოლიზაცია დაიწყო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და ოპოზიციის სრულად დაძლევით.[1] შედეგად, მასობრივმა წმენდებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს შესაძლებლობებზე, უზრუნველყოს საზოგადოებრივი სიკეთეები: უსაფრთხოება, სამედიცინო დახმარება, განათლება და ა.შ.

2017 წლის რეფერენდუმის შემდეგ, პრეზიდენტი გახდა ქვეყნისა და მმართველი პარტიის მეთაური. ამიერიდან, პრეზიდენტს, პარლამენტის თანხმობის გარეშე, შეუძლია გამოსცეს დადგენილებები, მოითხოვოს ეროვნული ბიუჯეტი, დანიშნოს კაბინეტის წევრები და ასევე უმაღლესი სასამართლოს წევრთა ნახევარზე მეტი.

1961 წლის კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრი მთავრობის მეთაურად გამოცხადდა, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობა აღმასრულებელი ხელისუფლების უფრო სიმბოლურ ნაწილად. თუმცა, 1982 წლის კონსტიტუციით მნიშვნელოვნად გაიზარდა პრეზიდენტის თანამდებობის ძალაუფლება. 1982 წლის კონსტიტუციის თანახმად, თურქეთში მმართველობის სისტემა საპარლამენტო იყო. ეს უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორმაგ სტრუქტურას, სადაც პრეზიდენტს არ ჰქონდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტს ირჩევდა მეჯლისი (თურქეთის დიდი ეროვნული კრება). პრემიერ-მინისტრს ნიშნავდა პრეზიდენტი პარლამენტში უმრავლესობაში მყოფი პარტიიდან, მას ჰქონდა შეზღუდული უფლებამოსილება მინისტრთა საბჭოს დანიშვნასთან დაკავშირებით.[2] ყველა პრეზიდენტის ბრძანებულებას ასევე უნდა ჰქონოდა პრემიერ-მინისტრისა და შესაბამისი მინისტრის ხელმოწერაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო ემოქმედა დამოუკიდებლად. თუმცა, 1982 წლის კონსტიტუცია არ აკონკრეტებდა იმ შემთხვევებს, როდესაც პრეზიდენტს შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევები დიდად იქნებოდა დამოკიდებული პრეზიდენტის პიროვნებაზე, მის უნარზე, შეესრულებინოს სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის მოვალეობები და პრემიერ-მინისტრი, რომელიც არ შეეწინააღმდეგებოდა ამ ქმედებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანი არ არის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც სცადა ინსტიტუციური გაფართოების განხორციელება, ქენან ევრენმა, თურგუთ ოზალმა და სულეიმან დემირელმა ასევე სცადეს თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა, მაგრამ წარუმატებლად.

ერდოღანიზმის მეორე ასპექტი ნეოპატრიმონიალიზმია. ნეოპატრიმონიალიზმი ორი თანაარსებობის, ნაწილობრივ გადაჯაჭვული ტიპის დომინაციის ნაზავია: კერძოდ, პატრიმონიალური და იურიდიულ-რაციონალური

[1] Kirişci and Sloat, “The rise and fall of liberal democracy in Turkey,”

[2] Metin Heper and Menderes Çinar, “Parliamentary Government with a Strong President: The Post-1989 Turkish Experience,” Political Science Quarterly Vol 111, No 3 (1996) 490

ბიუროკრატიული დომინაციები. პატრიმონიალიზმის დროს მმართველსა და მართულს შორის ყველა ურთიერთობა, პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ურთიერთობები, პირადი ურთიერთობებია; არ არსებობს დიფერენციაცია კერძო და საჯარო სფეროებს შორის.[1] ნეოპატრიმონიალურ რეჟიმებში აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი ინარჩუნებს ძალაუფლებას პირადი მფარველობის გზით და არა იდეოლოგიის ან კანონის მეშვეობით. კლასიკური პატრიმონიალიზმის მსგავსად, მმართველობის უფლება ენიჭება პიროვნებას და არა თანამდებობას.[2] ბიუროკრატიული თანამდებობები გამოიყენება სიმდიდრისა და ძალაუფლების დასაგროვებლად და საჯარო და კერძო თანამდებობებს შორის დიდი დიფერენციაცია არ არის. ნეოპატრიმონიალიზმის მნიშვნელოვანი ხასიათია მომსახურების გაცვლა ბიუროკრატიული აპარატისა და საზოგადოების ყველა დონეზე. კლიენტელიზმი ნეოპატრიმონიალიზმის განუყოფელი ნაწილია. მატერიალური ქონების გაცვლისა და კლიენტის ინტერესების დაცვისას მფარველი იძენს მათ ლოიალობას და პოლიტიკურ მხარდაჭერას. უნდა აღინიშნოს, რომ ნეოპატრიმონიალური სახელმწიფოები ხშირად შესამჩნევად სტაბილურები არიან მოკლევადიან და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. მფარველ-კლიენტის სისტემა ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს კონფლიქტების გადაჭრის შემთხვევაში და ზედმეტი ძალადობის გარეშე. რეჟიმის პოტენციური მოწინააღმდეგეები შეიძლება მოსყიდულ იქნენ ეკონომიკური დათმობებით ან შეჩერებულნი იყვნენ მათი ფინანსური მდგომარეობის მუქარით.[3]

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, AKP მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა კონსერვატიულ, რელიგიურ და ნაციონალისტურ პერიფერიას, რომელიც მისი მთავარი ელექტორატი იყო. მთავრობა უდიდეს მხარდაჭერას უწევდა ცენტრალური ანატოლიის ბიზნესს და აქტიურად ახდენდა მის სუბსიდირებას, რითაც ეს პერიფერია ცენტრში გამოიყვანა და ახალ საშუალო კლასად აქცია. ახალი საშუალო კლასი, თავის მხრივ, მმართველი პარტიის ყველაზე დიდ დამცველად და საყრდენად იქცა, რაც ერდოღანისა და AKP-ს ძალაუფლების გარანტი იყო. ამავდროულად, რეჟიმი ავიწროებდა კრიტიკულად განწყობილ ან ოპოზიციურად მხარდამჭერ ბიზნესებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებებზე ზეწოლის დროს. Freedom House-ის 2014 წლის ანგარიშმა აჩვენა, რომ მთავრობამ ეფექტურად შეზღუდა თავისუფალი მედია. მედია საშუალებები ან მთლიანად გაკოტრდა, ან შეიძინეს მთავრობის მოკავშირეებმა და თანამოაზრეებმა. ამრიგად, მხოლოდ რამდენიმე მცირე მედია საშუალება დარჩა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული AKP-ს ბიზნეს პარტნიორებთან და არ აქვთ სარედაქციო ხაზები პროსამთავრობო პოზიციებით. თურქეთის მთავრობა პერიოდულად ბლოკავდა სოციალურ მედიას სხვა ვებსაიტებთან ერთად, მათ შორის ვიკიპედიას. Facebook-სა და Twitter-ზე გამოქვეყნებული პოსტების გამო ადამიანების წინააღმდეგ სამართლებრივი ბრალდებები აღიძრა. 2016 წლიდან თურქეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა

[1] Gero Erdmann and Ulf Engel, "Neopatrimonialism Reconsidered: Critical Review and Elaboration of an Elusive Concept," Commonwealth & Comparative Politics Vol 45, No 1 (2007) 105

[2] Michael Bratton and Nicolas Van de Walle, "Neopatrimonial Regimes and Political Transitions in Africa," World Politics Vol 46, No 4 (1994) 458

[3] David Lewis, "Understanding the Authoritarian State: Neopatrimonialism in Central Asia" The Brown Journal of World Affairs Vol 19, No 1 (2012) 115-126

ჟურნალისტების დაპატიმრების მხრივ.[1] 2018 წელს Freedom House-მა თურქეთი 1999 წლის შემდეგ პირველად „არათავისუფლად“ მოიხსენია.[2]

თურქეთის ავტორიტარიზმისკენ გადახრას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი მათგანია ლიდერის მმართველობა, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქემალისტური, ასევე ისლამისტური პოლიტიკური კულტურისთვის. ლიდერის პოზიცია მემკვიდრეობით არ არის მიღებული, არამედ შეძენილი და გაძლიერებულია, იგი კარგად ახერხებს თავისი მზარდი მიმდევრების უზრუნველყოფას და დაცვას. ის ლიდერობს ოსტატური დარწმუნებისა და სიბრძნის რეპუტაციის წყალობით... ლიდერის პოლიტიკა მხარდამჭერებს იზიდავს გარემოცვის ფართო იერარქიული გაფართოებით, რომლებიც ხასიათდება მხარდაჭერისა და ვალდებულების პერსონიზირებული ურთიერთობებით. ლიდერი წარმოდგენილია როგორც მამის ფიგურა და ასევე გმირი.[3]

ერდოღანიზმის შემდეგი მახასიათებელია პოპულიზმი. პოპულიზმი არის იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებას ორ ერთგვაროვან და ანტაგონისტურ ჯგუფად წარმოაჩენს. „სუფთა ხალხი“ „კორუმპირებული ელიტის“ წინააღმდეგ. პოპულიზმის ძირითადი კონცეფცია აშკარად „ხალხია“; გარკვეული გაგებით, „ელიტის“ კონცეფციაც კი თავის იდენტობას მისგან იღებს (როგორც მისი საპირისპირო, მისი მტერი). პოპულიზმი ადვილად შეიძლება შერწყმული იყოს სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიებთან.[4] უნდა აღინიშნოს, რომ პოპულისტურ პროპაგანდაში „ხალხის“ კონცეფცია არ არის ყოვლისმომცველი, არამედ აბსტრაქტული საზოგადოებაა, რაღაცით ერის მსგავსი, მაგრამ მხოლოდ მისი ნაწილი. პოპულისტურ რეჟიმში საზოგადოება მკაცრად იყოფა „ჩვენ“-ად და „მათ“-ად, სადაც ვინც „ჩვენთან“ არ არის, „ჩვენს“ წინააღმდეგაა. პოპულისტური ლიდერები თავს „დაჩაგრული ხალხის“ წარმომადგენლებად აცხადებენ, ისინი უბრალოდ „ერთ-ერთი მათგანი არიან“ და ყველაფერი იციან მათი რთული ცხოვრების შესახებ. პოპულისტური რეჟიმები ნებისმიერი სახის ოპოზიციას უპირისპირდებიან იმით, რომ მათ „კორუმპირებული ელიტის“, „ტერორისტების“ და ა.შ. იარლიყებით მოხსენიებით. პოპულიზმი ასევე ეყრდნობა პერსონალისტურ და პატერნალისტურ ლიდერობას. ქარიზმატულ ლიდერს ზოგადად ღვთაებრივი მახასიათებლები მიეწერება: ის წარმოადგენს ეროვნულ ნებას და აქვს უნარი, გაარჩიოს საერთო სიკეთე. მისი ავტორიტეტი და განსჯა არ უნდა დაისვას კითხვის ნიშნის ქვეშ.[5]

ქემალისტურ თურქეთში, სადაც სეკულარიზმი და ვესტერნიზაცია მთავრობის მთავარი პოლიტიკა იყო, მუსლიმი უმრავლესობა გამორიცხული

---

[1] Committee to Protect Journalists, Data and Research https://cpj.org/data/reports.php?status=Imprisoned&start_year=2018&end_year=2018&group_by=location Accessed, September 10, 2024

[2] Freedom House, “Freedom in the World 2018,” https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2018 Accessed September 28, 2019

[3] Jenny B White, “The Turkish Complex,” The American Interest Vol 10, No 4, (2015) https://www.the-american-interest.com/2015/02/02/the-turkish-complex/ Accessed November 3, 2024

[4] Cas Mudde, “The Populist Zeitgeist,” Government and Opposition (2004) 543-544

[5] Ihsan Yilmaz and Galib Bashirov, “The AKP after 15 years: emergence of Erdoganism in Turkey,” Third World Quarterly Vol 39, No9 (2018): 1820

აღმოჩნდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან, განათლების ან სამუშაო შესაძლებლობები შეზღუდული იყო, თუ პირს თავსაბურავის ტარება ეკეთა. ამ გარემოებებმა პოპულიზმი ახლადშექმნილი ისლამისტური პოლიტიკური პარტიებისთვის ღირებულ ინსტრუმენტად აქცია. ისინი თავს „დაჩაგრული ხალხის“ წარმომადგენლებად აცხადებდნენ, რომლებმაც არ დაკარგეს თავიანთი კულტურა და ისლამის მიმდევრებად დარჩნენ. ამის საპირისპიროდ, ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ დასავლეთს, განსაკუთრებით მათ ღირებულებებს და ხშირ შემთხვევაში ამ ღირებულებების არარსებობას.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის საზოგადოება ნაკლებად იყო მიჯაჭვული ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე, ამიტომ ამ შებრუნებულმა ნარატივმა გააფართოვა ერდოღანის პოპულარობა. ამავდროულად, მან კიდევ უფრო გაამწვავა პოლარიზაცია კონსერვატიულ და სეკულარულ წრეებს შორის. ერდოღანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამომრჩეველთა რელიგიურ ტენდენციებს და აყალიბებს თურქეთის უპირატესობის იდეას. ეს აღქმა ქვეყნის ოსმალეთის ისტორიას ეფუძნება და დამაჯერებელია ამომრჩევლისთვის, ამავდროულად, ეს არ აკნინებს სეკულარული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრინციპებს.

ერდოღანის პიროვნება და სტილი თურქი ერის, სახელმწიფოს და მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების განსახიერებაა.[2] ერდოღანი საკუთარ თავს „თურქეთის ახალ მამად“, ქემალისტური ელიტის წინააღმდეგ „წმინდა ხალხის“ ხმად და დამცველად წარმოაჩენს. მისი მხარდამჭერები დიდებული ერის წევრები არიან, რომლებიც ერთგულნი არიან ქვეყნის ტრადიციული ღირებულებებისა და ტრიუმფალური წარსულის. ერდოღანი ცდილობს აჩვენოს, რომ მისი თანამდებობის მიუხედავად, ის არ შეცვლილა და მისი ღირებულებები იგივე დარჩა. თმის შეჭრით იმ ღარიბ უბანში, სადაც გაიზარდა, მან ხაზი გაუსვა, რომ ახსოვს თავისი წარმომავლობა და ის კვლავ „ნამდვილი ხალხის“ წევრია.

ისლამიზმი ისლამის ინსტრუმენტალიზაციის ფორმაა პოლიტიკური მიზნების მქონე პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიერ. ისლამიზმი პასუხობს მიმდინარე საზოგადოებრივ გამოწვევებს ტრადიციული ისლამური კონცეფციების ხელახლა გამოგონებით ან ხელახლა მითვისებით. ამრიგად, ის მომავალს წარსული პრაქტიკის პრიზმით ხედავს. ასევე არ არსებობს ერთი უნივერსალური სტრატეგია ან ტაქტიკა ამ იდეალისტური მომავლის მისაღწევად, რომელიც დაფუძნებულია ადრეული ისლამის ოქროს ხანაზე. თუმცა, ისლამისტები იზიარებენ მისწრაფებას „დაბრუნდნენ მომავალში“ წარსულის ხელახლა წარმოდგენით, ფუნდამენტური წმინდა ტექსტების წაკითხვის საფუძველზე.[3] ისლამისტები რაციონალურები და პრაგმატულები არიან, მზად არიან რელიგიური პრინციპები გაცვალონ პოლიტიკურ შენაძენებში. იდეოლოგია მხოლოდ მექანიზმია ხმების მოსაპოვებლად და მათი პოლიტიკის გასამართლებლად. ისლამი ახალი თურქეთის მთავრობისთვის ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი

---

[1] Raquel dos Santos Fernandes and Isabel Estrada Carvalhais, “Understanding erdogan’s leadership in the "New Turkey"," JANUS.NET, e-journal of International Relations Vol 9, No1 (2018) 97-98

[2] Yilmaz and Bashirov, “The AKP after 15 years,” 1812

[3] Mohammed Ayoob, The many faces of Political Islam: Religion and Politics in the Muslim World (The University of Michigan Press, 2008) 2

გახდა. ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ, AKP-ს რიტორიკა პროგრესულიდან კონსერვატიულზე შეიცვალა, რაც რელიგიაზე მძიმე გავლენას ახდენდა. დიანეთი (რელიგიურ საკითხთა დირექტორატი - Diyanet) თურქეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა. ეს სახელმწიფო ინსტიტუტი თავდაპირველად 1924 წელს დაარსდა შეიხ ალ-ისლამის კაბინეტის შესაცვლელად და მას სახელმწიფო მართავდა რელიგიური საკითხების ზედამხედველობისა და ქვეყნის სეკულარული კურსის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, AKP-მ დიანეთის ორგანიზაცია გადააკეთა და ახლა ის აქტიურად ქადაგებს სუნიტურ ისლამს თავისი ღირებულებებით და მხარს უჭერს ერდოღანისა და AKP-ის მთავრობას. დიანეთის ხელმძღვანელები იყენებენ თავიანთ ძალაუფლებას, ფატვებსა და დეკლარაციებს რეჟიმის პოლიტიკის ლეგიტიმაციისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობა ქალთა უფლებების, აბორტის და ახალი წლის აღნიშვნის წინააღმდეგ გამოვიდა.[1] მათ ასევე დაგმეს რეჟიმის ოპონენტები (ქურთი ნაციონალისტები, „ჰიზმეთის“ წევრები) და ამ უკანასკნელებს ცრუ მუსლიმებად ან „ერეტიკოსებად“ მოიხსენიებენ. 17-25 დეკემბრის კორუფციული სკანდალის შემდეგ, პროსამთავრობო გაზეთმა „იენი შაფაკმა“ გამოაქვეყნა სვეტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კორუფცია ქურდობა არ არის.[2] დიანეთმა ასევე გაამართლა მთავრობის მიერ Twitter-ისა და Youtube-ის აკრძალვა, გამოიყენა რელიგიური რიტორიკა პარტიის კრიტიკოსების წინააღმდეგ და AKP-ს ლიდერებს მეჩეთებში კამპანიის წარმოების უფლებაც კი მისცა.

ერდოღანი დიდად იყო დამოკიდებული დიანეთზე 2016 წლის წარუმატებელი გადატრიალების დროს და მის შემდეგ. ერდოღანის მოწოდების შემდეგ, დიანეთის მაღალჩინოსნებმა 86 000-ზე მეტ მეჩეთში იმამებს სთხოვეს, რომ გადატრიალების წინააღმდეგობის გაწევის მიზნით წარმოეთქვათ სალაჰი, რომელსაც ტრადიციულად დაკრძალვების დორს წარმოთქვამენ და მოქალაქეებს მოუწოდეს, დაიცვან თავიანთი ქვეყანა და მთავრობა „ღმერთისა და წინასწარმეტყველის სიყვარულისთვის“.[3] თურქეთში საერთაშორისო ისლამისტური დაჯგუფების Hizb ut-Tahrir-ის მედიის ხელმძღვანელმა, მაჰმუთ ქარმა, „ალ-მონიტორთან“ ინტერვიუში განაცხადა: „გადატრიალებისა და ტერორის წინააღმდეგ წინააღმდეგობისკენ მოწოდება მუნიციპალიტეტების ხმის გამაძლიერებლებიდან კი არა, მეჩეთებიდან გაისმა. დიანეთის როლი გადატრიალების მცდელობის წინააღმდეგ გადამწყვეტია, რადგან შუაღამიდან გათენებამდე მეჩეთებიდან სალაჰი ისმოდა... ხალხს უყვარს ერდოღანი, არა დემოკრატიის, არამედ ისლამის

[1] Ahmet Erdi Öztürk, “Turkey’s Diyanet under AKP Rule: From Protector to Imposer of State Ideology?”
Southeast European and Black Sea Studies Vol 16, No 4 (2016) 623

[2] Hayrettin Karaman, **“**Yolsuzluk başka hırsızlık başkadır,” Yeni Safak, December 21 (2014) Accessed October 5, 2019

[3] Berk Esen and Sebnem Gumuscu, “Turkey: How the Coup Failed,” Journal of Democracy Vol 28, No 1 (2017) 65

გამო. ახლა ყველა ხედავს, რომ მორწმუნეთა ძალაუფლების წინააღმდეგ ტანკები და ტყვიები უაზროა“.[1]

თურქეთის პოლიტიკური ხედვის მნიშვნელოვანი ელემენტი მისი ისტორიაა. ოსმალური წარსული და მისი განდიდებული ისტორია ერდოღანისა და მისი მხარდამჭერების მისწრაფებაა. ნეოოსმანიზმი არა მხოლოდ მმართველი პარტიის საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკურ კურსშიც გაჩნდა. შემდგომში, ოსმალური მოტივები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტში აღდგა. კერძოდ, ეროვნულ დღესასწაულებში, მედიასა და განათლებაშიც კი.[2] ოსმალეთის იმპერიის დიდებული წარსული „ახალი თურქეთის“ საბოლოო მიზნად იქცა. სუნიტური, მუსლიმური ღირებულებები ყოველთვის იყო „თურქობის“ მთავარი კულტურული მახასიათებელი, მაგრამ თანამედროვე თურქეთში ის თავად „თურქი ერის“ განმსაზღვრელი აუცილებელი ნაწილი გახდა. თურქეთის მთავრობისთვის ისლამი არა მხოლოდ თურქეთის კულტურული ელემენტია, არამედ ერის აუცილებელი ნაწილი ან თუნდაც განსახიერებაა.[3]

დასკვნა

ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ, ახალმა მთავრობამ ქვეყანა ავტორიტარული მიმართულებით გადაიყვანა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი მიმართულება არ იყო რეპრესიული ისლამი, არამედ ტრადიციული ახლო აღმოსავლური ძლიერი ლიდერი. ერდოღანი პირველი პრეზიდენტია, რომელიც სახალხო კენჭისყრით აირჩიეს, რაც მას საზოგადოების თვალშიც კი ფართო პოლიტიკური ლეგიტიმაციას ანიჭებს. ამავდროულად, სამართლიანობისა და განვითარების პარტია ერდოღანზე უკიდურესად ორიენტირებულ პარტიად იქცა, რომელშიც ლიდერისადმი ერთგულება დაწინაურების კრიტერიუმად იქცევა.[4] ის ერევა პოლიტიკური, ასევე სოციალური და ოჯახური ცხოვრების ყველა სფეროში; პრეზიდენტის ბრძანებულებით მან ტელევიზიებში გაცნობის შოუების დახურვა ბრძანა; გააუქმა საშუალო სკოლაში მისაღები გამოცდები და ა.შ.

ავტორიტარიზმის ზრდამ დაასუსტა პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკა და გავლენა მოახდინა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე. 2018 წელს თურქული ლირა აშშ დოლართან მიმართებაში 7.24 ლირამდე გაუფასურდა, ხოლო 2025 წელს ის უკვე 41 ლირამდე დაეცა. საგარეო პოლიტიკა ხშირად ქვეყანაში მხარდაჭერის ბაზის შენარჩუნების აუცილებლობით არის განპირობებული. დასავლური ინსტიტუტების, განსაკუთრებით ევროკავშირისა და ნატოს მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად ნეგატიური გახდა. ამავდროულად, თურქეთის მთავრობა ხვდება, რომ ნატოდან წევრების გარიცხვის მექანიზმი არ არსებობს და

---

[11] Pinar Tremblay, “How Erdogan used the power of the mosques against coup attempt,” Al-Monitor, July 25 (2016) https://www.al-monitor.com/pulse/originals/2016/07/turkey-coup-attempt-erdogan-mosques.html#ixzz4GRabuPXD Accessed September 13, 2024

[2] Yilmaz and Bashirov, “The AKP after 15 years,” 1822

[3] Cenk Saraçoğlu and Özhan Demirkol, “Nationalism and Foreign Policy Discourse in Turkey under the AKP Rule: Geography, History and National Identity,” British Journal of Middle Eastern Studies Vol 42, No 3 (2015) 307

[4] Fernandes and Carvalhais, “Understanding erdogan’s leadership,” 98

დასავლეთისთვის გაცილებით ადვილია თურქეთთან, როგორც ნატოს წევრთან, მოლაპარაკება.[1]

პროგნოზირებადი იყო, რომ სახალხო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი მთავრობის ხელმძღვანელობას ხელში ჩაიგდებდა. ეს არგუმენტი ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ პირდაპირი არჩევნები უფრო გავლენიანი პრეზიდენტის არჩევის საფუძველს იძლევა. 2014 წელს ერდოღანმა მოიგო პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ხმების თითქმის 52%-ის მოპოვებით და თავის პირველ კომენტარებში მან გამოაცხადა მომავალი ცვლილებები და ახალი თურქეთის გამარჯვება. 2016 წლის 15 ივლისის წარუმატებელმა გადატრიალება ერდოღანს დაეხმარა თავისი ფაქტობრივი ძალაუფლების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევაში. 2016 წლის 20 ივლისს ერდოღანმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ორი წელი გაგრძელდა.[2] საგანგებო მდგომარეობამ პრეზიდენტს საშუალება მისცა ემოქმედა პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის ან თუნდაც პარლამენტის დამატებითი თანხმობის გარეშე. ამრიგად, მან ერდოღანს მისცა აბსოლუტური ძალაუფლება, აღედგინა სახელმწიფო ინსტიტუტები მისი ამბიციების შესაბამისად.

ამგვარად, ერდოღანიზმი არის პერსონალისტური პოლიტიკური რეჟიმი, მსგავსი მისი წინამორბედი ქემალიზმისა, მაგრამ განსხვავებული მიზნებითა და ღირებულებებით. მას აქვს სამი ძირითადი განზომილება: ელექტორალური ავტორიტარიზმი, როგორც საარჩევნო სისტემა, ნეოპატრიმონიალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია და ისლამიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის მეორე შემთხვევა, როდესაც თურქეთში კულტზე ორიენტირებული რეჟიმი მოდის ხელისუფლებაში.

გამოყენებული ლიტერატურა - Refereneces

1. Akyul, Mustafa. “Erdoganism [noun] From “national will” to “man of the nation,” an abridged dictionary for the post-secular Turkish state,” Foreign Policy, June 21 (2016) https://foreignpolicy.com/2016/06/21/erdoganism-noun-erdogan-turkey-islam-akp/ Accessed September 5, 2024
2. Ayoob, Mohammed. *The many faces of Political Islam: Religion and Politics in the Muslim World.* The University of Michigan Press, 2008.
3. Bratton, Michael and Walle, Nicolas Van de. “Neopatrimonial Regimes and Political Transitions in Africa,” World Politics Vol 46, No 4 (1994) 453-489
4. Committee to Protect Journalists, Data and Research https://cpj.org/data/reports.php?status=Imprisoned&start_year=2018&end_year=2018&group_by=location Accessed, September 10, 2024

[1] Halil Karaveli, “The Myth of Erdogan’s Power,” Foreign Policy, August 29 (2018) https://foreignpolicy.com/2018/08/29/the-myth-of-erdogans-power/ Accessed September 19, 2019

[2] Holly Ellyatt, “Turkey lifts state of emergency but nothing much has changed, analysts warn,” CNBC July 19 (2018) https://www.cnbc.com/2018/07/19/turkey-lifts-state-of-emergency-but-nothing-much-has-changed-analysts.html Accessed September 12, 2024

5. Corke, Susan, Finkel, Andrew, Kramer, David J., Robbins, Carla Anne, Schenkkan, Nate. “Democracy in Crisis: Corruption, Media, and Power in Turkey,” A Freedom House Special Report (2014) https://freedomhouse.org/sites/default/files/Turkey%20Report%20-%20Feb%203%2C%202014.pdf Accessed September 4, 2025
6. Ellyatt, Holly. “Turkey lifts state of emergency but nothing much has changed, analysts warn,” CNBC July 19 (2018) https://www.cnbc.com/2018/07/19/turkey-lifts-state-of-emergency-but-nothing-much-has-changed-analysts.html Accessed September 12, 2024
7. Erdmann, Gero and Engel, Ulf. “Neopatrimonialism Reconsidered: Critical Review and Elaboration of an Elusive Concept,” Commonwealth & Comparative Politics Vol 45, No 1 (2007) 95-119
8. Esen, Berk and Gumuscu, Sebnem. “Turkey: How the Coup Failed,” Journal of Democracy Vol 28, No 1 (2017) 59-73
9. Fernandes, Raquel dos Santos and Carvalhais, Isabel Estrada. “Understanding erdogan’s leadership in the "New Turkey"," JANUS.NET, e-journal of International Relations Vol 9, No1 (2018) 88-102
10. Freedom House, “Freedom in the World 2018,” https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2018 Accessed, September 28, 2019
11. Grigoriadis, Ioannis N. *Democratic Transition and the Rise of Populist Majoritarianism; Constitutional Reform in Greece and Turkey.* Ankara, 2018.
12. Gül, Erdem. “T.C. Anonim Şirketi,” Cumhuriyet, Mart 16 (2015) http://www.cumhuriyet.com.tr/haber/turkiye/231423/T.C._Anonim_Sirketi.html Accessed, November 3, 2024
13. Heper, Metin and Çinar, Menderes. “Parliamentary Government with a Strong President: The Post-1989 Turkish Experience,” Political Science Quarterly Vol 111, No 3 (1996) 483-503
14. Karaman, Hayrettin. “Yolsuzluk başka hırsızlık başkadır,” Yeni Safak, December 21 (2014) https://www.yenisafak.com/yazarlar/hayrettinkaraman/yolsuzluk-baka-hirsizlik-bakadir-2006694 Accessed October 5, 2019
15. Karaveli, Halil. “The Myth of Erdogan’s Power,” Foreign Policy, August 29 (2018) https://foreignpolicy.com/2018/08/29/the-myth-of-erdogans-power/ Accessed September 19, 2019
16. Kirişci, Kemal and Sloat, Amanda. “The rise and fall of liberal democracy in Turkey: Implications for the West,” Foreign Policy at Brooking, Policy Brief, February (2019)
17. Lewis, David. “Understanding the Authoritarian State: Neopatrimonialism in Central Asia” The Brown Journal of World Affairs Vol 19, No 1 (2012) 115-126
18. Mudde, Cas. “The Populist Zeitgeist,” Government and Opposition (2004) 541-563
19. Öztürk, Ahmet Erdi. “Turkey’s Diyanet under AKP Rule: From Protector to Imposer of State Ideology?”
20. Southeast European and Black Sea Studies Vol 16, No 4 (2016) 619-635

21. Saraçoğlu, Cenk and Demirkol, Özhan. “Nationalism and Foreign Policy Discourse in Turkey under the AKP Rule: Geography, History and National Identity,” British Journal of Middle Eastern Studies Vol 42, No 3 (2015) 301-319
22. Tremblay, Pinar. “How Erdogan used the power of the mosques against coup attempt,” Al-Monitor, July 25 (2016) https://www.al-monitor.com/pulse/originals/2016/07/turkey-coup-attempt-erdogan-mosques.html#ixzz4GRabuPXD Accessed September 13, 2024
23. Pitcher, Anne, Moran, Mary H. and Johnston, Michael. “Rethinking Patrimonialism and Neopatrimonialism in Africa,” frican Studies Review Vol 52, No 1 (2009) 125-156
24. Uslu, Hasan Faruk. “Leadership through institutional stretch: Recep Tayyip Erdogan’s presidency in Turkey,” Atatürk Üniversitesi İktisadi ve İdari Bilimler Dergisi Vol 32, No 4 (2018): 1241-1263
25. White, Jenny B. “The Turkish Complex,” The American Interest Vol 10, No 4, (2015) https://www.the-american-interest.com/2015/02/02/the-turkish-complex/ Accessed November 3, 2024
26. Yilmaz, Ihsan and Bashirov, Galib. “The AKP after 15 years: emergence of Erdoganism in Turkey,” Third World Quarterly Vol 39, No 9 (2018): 1812-1830